



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080170428490820

№ 862

09 / მარტი / 2020 წ.

შპს „ბილდ მენეჯმენტის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ონის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT190010008;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 10 იანვარს წარმოდგენილ იქნა ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 10 იანვრის №04-58 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №182), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბილდ მენეჯმენტის“ (ს/ნ: 437060993) მიერ NAT190010008 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 24 ივნისის № 18/06 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის buildmanagement7@gmail.com მეშვეობით, 2020 წლის 20 იანვრის № 188 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 24 ივნისის № 18/06 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 21 მაისს ონის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT190010008 ელექტრონული ტენდერი შენობის მოწყობის სხვა სამუშაოების (CPV45450000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 7 ივნისის №3 სხდომის ოქმით შპს „ბილდ მენეჯმენტი“ (ს/ნ: 437060993) გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2019 წლის 13 ივნისის № 4 სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 24 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა № 18/06 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო მისი გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 254 552,62 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2019 წლის 30 ოქტომბრამდე.

4.4. საქმეში არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირება) განმახორციელებელი ორგანოს – შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ 2019 წლის 30 აგვისტოს № ზედ.02/250 და 17 სექტემბრის № ზედ.02/276 წერილებით დგინდება, რომ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენით ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს.

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 19 სექტემბრის №04-3490 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყდებოდა ხელშეკრულების მოქმედება.

4.6. მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 4 ნოემბრის № 02 შეთანხმების აქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 14 ნოემბერი.

4.7. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 5 დეკემბრის №04-4546 და 27 დეკემბრის №04-4801 წერილებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, ვერ დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

4.8. საქმეში არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირება) განმახორციელებელი ორგანოს – შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ 2019 წლის 27 დეკემბრის № 4 დასკვნის თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მის მიერ შეუსრულებელი და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 66 110,19 ლარი, ხოლო ჯეროვნად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 187 369,8 ლარი.

4.9. საქმეში არსებული ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 30 დეკემბრის №3064 ბრძანებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა, არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებები, კერძოდ, იგი გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენით ასრულებდა სამუშაოებს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ნაწილი იყო უხარისხო და არ შეესაბამებოდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს.

4.10. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 187 369,8 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 74%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბილდ მენეჯმენტს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, ამონურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.


7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ბემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა, სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულებების მოცულობას (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 74%) და მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ბილდ მენეჯმენტის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „ბილდ მენეჯმენტს“ (ს/ნ: 437060993) 2020 წლის 10 მარტს მიეცეს გაფრთხილება.
- 2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე  ლევან რაზმაძე